



მონიტორინგის ანგარიში № 4

აუდიტის ანგარიშის №:	4
თარიღი:	18 დეკემბერი 2019 / 10:30 – 18:00
ორგანიზაციის დასახელება:	Russian Register
მონიტორინგის ჯგუფი:	დავით ჯინჭარაძე, ირაკლი სირაბიძე, მარია პოლიაკოვა, ნინო ასათიანი
აუდიტის მოცულობა:	საზღვაო კოდექსი, ხელშეკრულება

1. შედეგები:

**რესერტიფიცირება**

- 06/09/2018 წ. მოხდა რესერტიფიცირება, სერტიფიკატის ნომერი N: 2199725 (Dekra GmbH) - 2021 წლამდეა მოქმედების ვადა. აღსანიშნია რომ 2018 წლის სარესერტიფიკაციო აუდიტი ჩატარდა რუსული რეგისტრის სათაო ოფისში, რაც დასტურდება სერტიფიკატზე კომპანიის დატანილი მისამართით (8 დვორცოვაია ნაბერეჟნაია 191186 სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი). რესერტიფიცირების დროს ბათუმის ოფისი არ იყო შემოწმებული. 2019 წლის საზედამხედველო აუდიტი ჩატარდა ბათუმის ოფისშიც. 08/04/2019წ. მიღებულია ინფორმაცია სათაო ოფისიდან, საზედამხედველო აუდიტის შესახებ.

**შენიშვნა არ გაგვაჩნია.**

**საზედამხედველო აუდიტი**

- საზედამხედველო აუდიტის პროცესში დაფიქსირდა 2 (ორი) შეუსაბამობა და ერთი დაკვირვება. შეუსაბამობები ეხება სურვეერების მიერ პრაქტიკულ მეცადინეობებს და დახურულ სივრცეში მუშაობის შესახებ დოკუმენტის არ წარდგენის კუთხით და ასევე საგანგებო სიტუაციის დროს პერსონალის გაუთვითცნობიერების შესახებ. ჩანაწერები სურვეერების და პერსონალის დამატებით ტრენინგის შესახებ - N 7558 - დეკრას მაკორექტირებელ ქმედებათა გეგმის და სურვეერთა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ ინსტრუქციის განხილვა. სწავლება მოხდა 30/09/2019, სწავლება მოისმინა სურვეერებმა (თავართქილაძე ემზარი / გომიძე ზაური / ლომაძე სტანისლავი / კოტოიანი ერნესტი).

**შენიშვნა არ გაგვაჩნია.**